დასკვნა:**დ05. 37233562**
თარიღი:**22/12/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი (შემდგომში „პროექტი“) და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და მერიის საშტატო ნუსხის“- მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი სრულად აკმაყოფილებს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, აგრეთვე საკრებულოს რეგლამენტით ანალოგიური ტიპის პროექტების წარმოდგენის დადგენილ წესს.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების მოქმედი ოდენობების წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული ცვლილებების საფუძველია საქართველოს კანონი „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

3. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ - საქართველოს კანონით (თავი VIII – „მარეგულირებელი ნორმები“ მუხლი-24-ე, პუნქტი - 2) საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია 1330ლარის ოდენობით. შესაბამისად, აღნიშნული ოდენობის საბაზო თანამდებობრივი სარგო და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი არის მერის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებისა და მერიის საშტატო ნუსხის“ პროექტის საფუძველი.

4. პროექტი კომისიის გადაწყვეტილებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია ზემოთ აღნიშნული დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი